სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის შტაბის რეკრეაციის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში – აკადემია) შტაბის რეკრეაციის ცენტრის (შემდგომში – რეკრეაციის) უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. რეკრეაციის ცენტრი შედის აკადემიის სტრუქტურული ერთეულის - შტაბის შემადგენლობაში.

3. რეკრეაციის ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის წესდების, წინამდებარე დებულებისა და მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. რეკრეაციის ცენტრი ანგარიშვალდებულია აკადემიის მეთაურისა და მეთაურის მოადგილე-შტაბის უფროსის წინაშე.

მუხლი 2. რეკრეაციის ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

1. აკადემიაში გამართული ღონისძიებების მასპინძლობა, საჭიროების შემთხვევაში.
2. მასზე რიცხული ქონების მოვლა პატრონობა.
3. ცენტრის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და სისუფთავის კონტროლი.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.